



აბასთუმანში ისტორიული სახლების რეაბილიტაცია,
ადიგენის მუნიციპალიტეტი

გარემოს დაცვითი და სოციალური სკრინინგი და
გარემოსდაცვითი მიმოხილვა

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი
ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ

დეკემბერი, 2017

ქვე-პროექტის მოკლე აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს დაბა აბასთუმანში ისტორიული ხის სახლების რეაბილიტაციას. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაბა აბასთუმანში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე ოცხეს ხეობაში ახალციხიდან 28 კილომეტრში, ადიგენიდან დაშორებულია 25 კმ-ით, ზღვის დონიდან 1340 მ სიმაღლეზე. დაბა აბასთუმანი წარმოადგენს სამთო-კლიმატური კურორტს, რომლის მშენებლობას XIX ს-ის 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი.

ქვე-პროექტით გათვალისწინებულია დაბა აბასთუმანში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 17 სახლის (#56. #58. #62. #64. #66. #68. #70. #72. #76. #78. #80. #84. #94. #96. #100. #102. #104) რეაბილიტაცია. აღნიშნული 17 სახლი და უძრავი ქონება დაყოფილია 84 დამოუკიდებელ ტერიტორიად, რომელსაც ჰყავს 85 მფლობელით. 4 სივრცე 84 ფართიდან სახელმწიფოს საკუთრებაა, მაშინ როცა დანარჩენი 80 წარმოადგენს კერძო საკუთრებას. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული 4 ფართიდან 2 ეკუთვნის ადიგენის მუნიციპალიტეტს და ამჟამად მიტოვებული და საცხოვრებლად გამოუსადეგარია. რაც შეეხება 2 ნაგებობას (#68, #84/86), წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაა, არის ბიბლიოთეკები : (1) საბავშვო ბიბლიოთეკა და (2) საჯარო ბიბლიოთეკა. ორი ობიექტი კერძო საკუთრებაში მყოფი შენობებიდან წარმოადგენს იურიდიულ პირთა საკუთრებას (ერთი ნაგებობას ფლობს შპს „აბასთუმანი სამუფო“, ერთი ნაგებობა ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. ამჟამად, შპს „აბასთუმანი სამუფო“, არ იყენებს მის მფლობელობაში მყოფ ნაგებობას. აღნიშნული ნაგებობა საცხოვრებლად გამოუსადეგარია და მეორე შენობა (#104) კი წარმოადგენს აფთიაქს. პროექტის გავლენის ქვეშ მყოფ პირთა თითქმის ნახევარი (50.5%) ცხოვრობს აბასთუმნის დასახლებაში და 6.1 % ცხოვრობს ახლომდებარე სოფლებში.

მეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2010 წლის 22 მარტის #3/47 ბრძანების მიხედვით, აღნიშნული სახლებიდან 14 (#56. #58. #62. #64. #66. #68. #70. #76. #78. #80. #84. #94. #100. #104) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონეა. ქვე-პროექტი უკვე შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

გამომდინარე იქიდან, რომ სარეაბილიტაციო სახლების უმეტესობა აგებულია XIX საუკუნეში, წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მათ უმეტეს ნაწილს 2010 წლამდე არ ჰქონდა მინიჭებული აღნიშნული სტატუსი, საცხოვრებელი სახლების დიდი ნაწილის პირვანდელი, აუთენტური სახე მრავალრიცხოვანი გადაკეთებების გამო სამწუხაროდ, საკმაოდ შეცვლილია. ამიტომ პროექტის წინა ეტაპზე განხორციელდა დაბა აბასთუმანში მდებარე, სარეაბილიტაციო ისტორიული სახლების სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევა ემსახურებოდა სახლების ამჟამინდელი მდგომარეობის, შემორჩენილი პირვანდელი დეტალების და გეგმარების სახის შესწავლას, კვლევის პროცესში ვიზუალური შესწავლის გარდა გამოყენებულ იქნა არსებული საარქივო მასალები, ისტორიული ცნობები,

პროექტები და ჩანახატები. აღნიშნული მასალები შესაძლებლობას იძლევა, რომ შესაბამისი სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდეს ისე, რომ არსებული ისტორიული განაშენიანების კომპლექსმა თავისი მხატვრული და ისტორიული ღირებულება შეინარჩუნოს.

ზოგადად, ქვე-პროექტი ითვალისწინებს ძველი დაზიანებული სახურავების, ხის სახურავების და კონსტრუქციების, კარების და ფანჯრების, დაზიანებული იატაკების, აივნების ჭერის და კიბეების დემონტაჟს. რეაბილიტაციის შედეგად სახლები გადაიხურება თუნუქის ახალი სახურავებით, ხოლო მოჩუქურთმებული ხის აივნების დაზიანებული ნაწილები ჩანაცვლდება მსგავსი დეტალებით.

სსოპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული საინვესტიციო ფინანსური შეთანხმების მიხედვით, რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელი იქნება რეაბილიტირებული საკუთრების მოვლა პატრონობის თაობაზე გააფორმოს ხელშეკრულება მესაკუთრეებთან.

გარემოსდაცვითი სკრინინგი და კლასიფიკაცია

(A) გარემოზე ზემოქმედების დადგენა

აქვს თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?	ქვე-პროექტს საგრძნობი გრძელვადიანი და დადებითი ზემოქმედება ექნება არსებულ გარემოზე, კერძოდ ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტასუსის მქონე სახლების ისტორიული ღირებულების აღდგენასა და შენარჩუნებას. ასევე მოსალოდნელია სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მცირე უარყოფითი ზეგავლენა არსებულ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.
რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?	ქვე-პროექტით მოსალოდნელია დადებითი გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება სახლების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გზით. ქვე-პროექტის განხორციელება მიიზიდავს უფრო მეტ ტურისტს აღნიშნულ რეგიონში. ტურისტთა გაზრდილი ნაკადს დადებით სოციალურ ზემოქმედება ექნება სამუშაო ადგილების შექმნაზე, ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებაზე. ვინაიდან ქვე-პროექტი ხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უშუალო სიახლოვეს, დიდია შემთხვევითი არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის ალბათობა მიწის სამუშაოების დროს. ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს მიწის სამუშაოები და აცნობოს მუნიციპალური განვითარების ფონდს. ფონდი თავს მხრივ აცნობებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მომდევნო ქმედებებზე. სამუშაოს გაგრძელება მოხდება მას შემდეგ, რაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო მისცემს კონტრაქტორს ნებართვას. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული

	უარყოფითი ზეგავლენა მოკლევადიანი იქნება და შემოიფარგლება მოდიფიცირებულ გარემოში მიმდინარე საშუალო მასშტაბის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ზემოქმედებით, კერძოდ: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, გამონაბოლქვი; სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობა, ფეხით მოსიარულეთათვის საიტზე მისადგომობის დარღვევა და უსაფრთხოების რისკების ზრდა. აზბესტის შემცველი ნარჩენები წარმოიქმნება კრამიტის დაშლის შედეგად (საერთო ჯამში 550 მ²).
შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეო-ბასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?	პროექტის განხორციელებისას ფიზიკური და ეკონომიკური განსახლება მოსალოდნელი არ არის. ქვე-პროექტი ფარგლებში შეიძლება საჭირო გასდეს მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების დროებითი ადგილმონაცვლეობა, უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას. სამუშაოების დასრულების შემდეგ ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. ქვე-პროექტისათვის განსახლების სამოქმედო გეგმა უკვე მომზადებულია და დამტკიცებულია მსოფლიო ბანკის მიერ. ქვე-პროექტის მიერ გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება სასარგებლო. გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, უძრავი ქონების ღირებულება მოიმატებს და სახლების ისტორიული ღირებულება აღდგება და შენარჩუნდება. ეს გახდის კურორტს ტურისტებისათვის უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურისა და კერძო სექტორის შემდგომ განვითარებას, შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

	ქვე-პროექტის განხორციელების ეტაპზე შეიქმნება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობა დროებითი და მოკლევადიანი იქნება, რაც ნაწილობრივ, მოკლე დროით მაინც გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ პირობებს. სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას უარყოფითი სოციალური ზემოქმედება შესაბამისი იქნება იგივე ფაქტორებისა, რომლებიც აღწერილია ზემოთ. ეს უარყოფითი ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი და შეზღუდული სამშენებლო მოედნის ფარგლებში.
--	--

(B) შემამსუბუქებელი ზომები

იყო თუ არა ქვე-პროექტის დიზაინთან მიმართებით რაიმე სახის ალტერნატივა განხილული ?	გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და უმეტეს მათგანს მინიჭებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, მნიშვნელოვანი ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მომხდარა. პროექტის წინა ეტაპზე განხორციელდა დაბა აბასთუმანში მდებარე, სარეაბილიტაციო ისტორიული სახლების სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევა ემსახურებოდა სახლების ამჟამინდელი მდგომარეობის, შემორჩენილი პირვანდელი დეტალების და გეგმარების სახის შესწავლას, კვლევის პროცესში ვიზუალური შესწავლის გარდა გამოყენებულ იქნა არსებული საარქივო მასალები, ისტორიული ცნობები, პროექტები და ჩანახატები. აღნიშნული მასალები შესაძლებლობას იძლევა, რომ შესაბამისი სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდეს ისე, რომ არსებული ისტორიული განაშენიანების კომპლექსმა თავისი მხატვრული და ისტორიული ღირებულება შეინარჩუნოს.
რა შემამსუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?	სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შერბილება ადვილად იქნება შესაძლებელი: სამშენებლო მოედნის დემარკაციით, ტრანსპორტის მართვით, სამშენებლო მექანიზმების

	კარგი მოვლა-პატრონობით, დადგენილი სამუშაო საათების დაცვით, და ნარჩენების ორგანიზებული გატანით ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილზე. სახიფათო (აზბესტ შემცველი) ნარჩენები უნდა მოიხსნას, შეიფუტოს, დასაწყობდეს და საბოლოო განთავსების მიზნით გატანილ იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (დადგენილება №145; 29.03.2016). უახლოესი ნაგავსაყრელი მდებარეობს სოფელ ჭაჭარაქში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქვე-პროექტის ადგილიდან 33 კილომეტრის დაშორებით. მიწის სამუშაოების დროს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში კონტრაქტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ნებისმიერი სახის ფიზიკური სამუშაო ობიექტზე და შეატყობინოს მგფ-ს. მგფ თავის მხრივ დაუყოვნებლივ ატყობინებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც იღებს ვალდებულებას შემდეგ მოქმედებებზე. სამუშაოების განახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების საფუძველზე. ექსპლუატაციის ფაზაში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების სათანადოდ მართვის შეთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ან/და მინიმუმამდე შემცირება.
წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?	მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების და ურბანული რეგენერაციის პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული ცოდნის

	საფუძველზე პროექტი თვალისწინებს არა მარტო შენობების დაზიანებული ნაწილების შეკეთებას, არამედ მოხდება სახლების სრული რეაბილიტაცია: კედლების პირვანდელი სახით აღდგენა, სახურავების რეაბილიტაცია, კარებისა და ფანჯრების პირვანდელი სახით აღდგენა, აივნებისა და მოაჯირების მოწყობა, იატაკების რეაბილიტაცია.
ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული საზოგადოება ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ რა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი შეხვდა თითოეულ მესაკუთრეს საწყის ეტაპზე და მოიპოვა თითოეული მათგანის თანხმობები სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე. მესაკუთრეებს შეეძლოთ გამოეთქვათ მოსაზრება პროექტთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებული იქნა საბოლოო პროექტში. კონსულტაციების დროს აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. 2017 წლის 5 ოქტომბერს ჩატარდა საჯარო შეხვედრა აბასთუმნის საჯარო სკოლაში მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმის განხილვის მიზნით. 2017 წლის 27 ნოემბერს გაიმართა ქვე-პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან საინფორმაციო შეხვედრა პროექტის მიმდინარეობის შესახებ. მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან ერთად, 2017 წლის 13 დეკემბერს გამართა გარემოსდაცვითი მიმოხილვის სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო სკოლის შენობაში აბასთუმანში.

(D)კატეგორიზაცია და დასკვნა
სკრინინგის შედეგზე დაყრდნობით,

ქვე-პროექტი მიეკუთვნება გარემოსდაცვით კატეგორიას

1. A ☐
2. B ☒
3. C ☐

გარემოს დაცვითი სკრინინგი დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია ☐

2. ქვეპროექტი მიღებულია ☒

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირე მასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო
საქმიანობების გარემოს დაცვითი ღონისძიებების ☐

საკონტროლო სიის შევსებას

2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, ☐ ☒

გარემოს დაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით

**ქვე-პროექტის სოციალური და კულტურული რესურსებზე
ზემოქმედების სკრინინგი**

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?	X ¹	
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბეღელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP4.12-ისა და განსახლების პოლიტიკი სჩარჩო დოკუმენტი სმიხედვით.			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		კ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები სიახლოვეს?	X	
თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP- სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.			

¹ ქვე-პროექტი ფარგლებში შეიძლება საჭირო გასდეს მხოლოდ ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების დროებითი ადგილმონაცვლეობა, უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას. სამუშაოების დასრულების შემდეგ ისინი დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილს. განსახლების სამოქმედო გეგმა ქვე-პროექტისთვის მომზადდა და დამტკიცდა მსოფლიო ბანკის მიერ.

გარემოსდაცვითი მიმოხილვა

1. შესავალი

1.1. საფუძველი

დაბა აბასთუმანის ისტორიული სახლების რეაბილიტაციის ქვე-პროექტის განხორციელება დაგეგმილია რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში, რომელიც მოიცავს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს. პროექტის მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ რეგიონებში ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება, ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერით. აღნიშნული კუთხით დაგეგმილი ქმედებები რეგიონის ადგილობრივ მოსახლეობას სავარაუდოდ მოუტანს პირდაპირ სარგებელს: საჯარო ინფრასტრუქტურის საიმედოობის, ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების, კერძო სექტორის ინვესტიციების მოცულობის გაზრდის, განახლებული კულტურული მემკვიდრეობის ადგილებსა და ქალაქებში გაყიდვების რაოდენობის გაზრდის (ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოები) გზით. საერთო ჯამში, მოსალოდნელია მოსახლეობის შემოსავლის ზრდა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

აღნიშნული პროექტის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს და 2015 წელს მიღო მსოფლიო ბანკის თანხმობა რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფინანსური მხარდაჭერის (60 მლნ \$) თაობაზე. პროექტის საერთო ღირებულება 75 მლნ \$-ს შეადგენს, მათ შორის 15 მლნ \$ აფინანსებს საქართველოს მთავრობა.

აღნიშნული ქვე-პროექტი წარმოადგენს RDP 3 -ის ნაწილს და უნდა მომზადდეს, განიხილოს, დამტკიცდეს და მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებთან, რომლებიც განკუთვნილია RDP 3-ითვის.

1.2. ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურების დარგებში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის რეგიონული განვითარების მესამე პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, მათ შორის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, როგორც ამას მოითხოვს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი.

აღნიშნული პასუხისმგებლობის შესაბამისად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს შესათანმებლად წარუდგენს რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ქვე-პროექტებისთვის მომზადებულ საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციას. მათ შორის ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დოკუმენტები, როგორიცაა სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგი, გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა, თანდართულ გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან/და გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებების გეგმა. ასევე ქვე-პროექტის ხასიათიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს დროებითი განსახლების სამოქმედო გეგმის მოზადება, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

პროექტის განხორციელებაში ჩართულია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“. სამინისტრო პასუხისმგებელია მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით ყოველ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების, ფოლკლორის, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, მემორიალურ, რელიგიურ, ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვაზე, დაცვაზე, შენარჩუნებასა და პოპულარიზაციაზე. სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ უფლებამოსილია გასცეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე სამუშაოების წარმოების ნებართვა და მეთვალყურეობა გაუწიოს მიმდინარე სამუშაოების მიმდინარეობას.

2. კანონმდებლობა და ნორმები

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ წარმოადგენს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას და შესაბამისად არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ვინაიდან ქვე-პროექტის განხორციელება დაგეგმილია მსოფლიო ბანკის ფინანსური მარდაჭრით მიმდინარე რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში, აუცილებელია არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს, აგრეთვე კურტურული მემკვიდრეობის და მათზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება განხორციელდეს ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად. კერძოდ, შემდეგი დოკუმენტების გათვალისწინებით:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამოქმედო პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების სამოქმედო პოლიტიკა (OP/BP 4.11)

- არანებაყოფლობითი განსახლება (OP/BP 4.12)

სწორედ, აღნიშნული დოკუმენტებისა და რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ბუნებრივ და სციალურ გარემოზე მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, განხორცილედა ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და კულტურულ რესურსებზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი, რომლის საფუძველზეც ის კლასიფიცირდა, როგორც B(+) კატეგორიის პროექტი, რომელიც საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის დოკუმენტის და თანდართული გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას.

ქვე-პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის სკრინინგის საფუძველზე გამოვლინდა, რომ საცხოვრებელი სახლები (სახლების საერთო რაოდენობა 17), რომელთა რეაბილიტაციაც გათვალისწინებულია ქვე-პროექტის ფარგლებში წარმოადგენს კერძო საკუთრებას. ნებაყოფლობითი განსახლების სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.12) და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც განიხილეს დაინტერესებულ მხარეებთან და დამტკიცდა მსოფლიო ბანკის მიერ.

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს დაბა აბასთუმნის ისტორიულ სახლების რეაბილიტაციას, სულ ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 17 საცხოვრებელი სახლის (რუსთაველის ქ. #56. #58. #62. #64. #66. #68. #70. #72. #76. #78. #80. #84. #94. #96. #100. #102. #104) რეაბილიტაცია. აღნიშნული სახლებიდან 14 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ძეგლია (#56. #58. #62. #64. #66. #68. #70. #76. #78. #80. #84. #94. #100. #104 - კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #3/47; 22.03.2010).

ამ სახლების უმეტესობა აგებულია XIX-XX საუკუნეში და წარმოადგენს კოტეჯის ტიპის შენობებს ფართო აივნებითა და ხის დეკორატიული ორნამენტებით. მოგვიანებით ნაგებობები გადაკეთდა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებად, მამასადამე თავდაპირველი იერსახე შეიცვალა, მაგალითად: ზოგიერთ შემთხვევაში აივნები გადაკეთდა შუშაბანდებად და გაუკეთდა მიშენებები.

დღესდღეობით ზოგიერთი სახლი მოითხოვს კონსტრუქციულ გამაგრებას, ასევე ინტერიერის რეაბილიტაციას, მაგრამ ზოგადად ქვე-პროექტი მოიცავს ძველი დაზიანებული სახურავების, ხის კონსტრუქციების, კარების და ფანჯრების, დაზიანებული იატაკების, აივნების ჭერის და კიბეების დემონტაჟს. სახლების განსაკუთრებულ ელემენტს წარმოადგენს ხის აივნები, ქვე-პროექტის ფარგლებში ხის დეკორატიული ორნამენტები აღდგება და აივნებს დაუბრუნდება პირვანდელი იერსახე.

სახლი #56

შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. სახლი ორსართულიანი შენობაა, სამი კორპუსით და სარდაფით. სახლი შედგება სამი ერთმანეთთან დაკავშირებული კორპუსისგან, რომლებიც სხვადასხვა დროსაა აგებული. შესაბამისად, დღესდღეობით ისინი სხვადასხვა მდგომარეობაში არიან. წინა კორპუსს პირობითად უწოდებენ ადმინისტრაციული კორპუსს, რომელიც განკუთვნილია საძინებლებისთვის და უკანა კორპუსი წარმოადგენს სასადილო სივრცეს. კორპუსები ერთმანეთთან დაკავშირებულია შუშბანდით.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს თუნუქის სახურავის გამოცვლას, ასევე გადახურვის კონსტრუქციების, კარ-ფანჯრების, ვიტრაჟების შეცვლას. ახალი ელექტრო გაყვანილობის



მოწყობას. შეილესება და შეიღებება კედლები და ჭერი. შეკეთდება ხის იატაკი და დაიგება ლამინატი. მოეწყობა ადმინისტრაციული კორპუსის ქვეშ არსებულ სარდაფში ჩასასვლელი კიბე. კორპუსს ექნება სამი შესასვლელი. რომელთაგან ერთი განკუთვნილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის. სამივე გასასვლელის თავზე ეწყობა მარკიზიტები. სასადილო (უკანა) კორპუსის ორივე სართულზე განთავსდება საკვანძები სადაც

გათვალისწინებულია კაბინები უნარშეზღუდულთათვის.

პროექტის ფარგლებში ფასადებზე განთავსებული ხის დეკორატიული ელემენტები, კარების თავზე მარკიზეტები, კარები და ფანჯრები შეიღებება ზეთოვანი საღებავით. კედლები შეილესება და შეიღებება ემულსიური საღებავით. ინტერიერის რეაბილიტაცია მოიცავს ხის იატაკის შეკეთებას და ლამინირებული იატაკის დაგებას, ელექტრო და სანიტარულ სისტემის დამონტაჟებას.

სამივე კორპუსს პერიმეტრზე შემოევლება ბეტონის სარინელი. უკანა სასადილო კორპუსის დასავლეთის ფასადის გასწვრივ მოწყობა რკ. ბეტონის საყრდენი კედელი. მუქი ნაცრისფერი თუნუქი გამოყენებული იქნება როგორც გადასახურავი მასალა.

სახლი #58

სახლი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, კლასიკურ რუსული სტილის შენობას, მეცხრამეტე საუკუნისთვის დამახასიათებელს. სახლი წარმოადგენს ორსართულიან შენობას აივნებით, მანსარდით, სარდაფით, რომელიც ამოვსებულია მიწით. სახლი ჩრდილოეთ და დასავლეთ ფასადის მიმდებარედ განთავსებულია გრუნტი და სამშენებლო ნარჩენები (25მ³)

სახლის რეაბილიტაციის პროექტი ითვალისწინებს ქვები კონსტრუქციების, დაზიანებული იატაკების და სახურავის ჩანაცვლებას ახლით, სარდაფის დაზიანებული კედლების შეკეთებას და გამაგრებას, სარდაფის გასუფთავებას ნაყარი მიწისგან, დაზიანებული კარებებისა და ფანჯრების შეცვლას. ფასადის ხის კონსტრუქციების, ორნამენტების რესტავრაციას, კიბეების მოწყობას, ელ გაყვანილობების გამოცვლას, შიდა საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებას, ხის ელემენტების აღდგენას.



შენობის მთელ პერიმეტრზე გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის, წყლის მოსაცილებელი სარინელის მოწყობა. შენობა გადაიხურება მუქი ნაცრისფერი თუნუქით.

სახლი #62

სახლი #62 არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის ერთსართულიანი შენობა. პროექტით გათვალისწინებულია არსებული თუნუქის სახურავის, სახურავის კონსტრუქციის, კარებისა და ფანჯრების შეცვლა, ახალი ხის იატაკის დაგება, აივნის სახელურისა და სვეტების გამოცვლა, არსებული ქვის კიბის რეაბილიტაცია, კედლების გალესვა და შეღებვა, ხის კარების შეღებვა/რეაბილიტაცია, შენობაში შესასვლელისთვის ფანჯრების მოწყობა, უკანა ფასადისთვის ახალი კედლის მოწყობა, დეკორატიული ხის ნაწილების რესტავრაცია. შენობის მთელ პერიმეტრზე გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის, წყლის მოსაცილებელი სარინელის მოწყობა.



მუქი ნაცრისფერი თუნუქი გამოყენებული იქნება როგორც გა დასახურავი მასალა.

სახლი #64

შენობა წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის, ერთსართულიან, მანსარდიან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.



ჩრდილოეთის მხრიდან არის მინაშენი, ხოლო სამხრეთის მხრიდან არის ხის ერთსართულიანი შენობა. დღესდღეობით შენობა ცუდ მდგომარეობაშია, მანსარდისა და სახურავის კიბეები მთლიანად დაზიანებულია. პროექტი ითვალისწინებს თუნუქის სახურავის, ხის კონსტრუქციების, კარების და ფანჯრების შეცვლას, ხის ახალი იატაკების მოწყობას, აივნის სახელურებისა და საყრდენი ბოძების

რეაბილიტაციას, ჩრდილოეთის მხარეს მდებარე მიშენების ნატურალური ქვით მოპირკეთებას, არსებული ქვის კიბეების რეაბილიტაციას, კედლების შელესვასა და შეღებვას, ხის ახალი ფანჯრების და კარების დამონტაჟებას, არსებული დეკორატიული ჩუქურთმების რესტავრაცია და ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავება.

სახურავი შეიცვლება მთლიანად და გადაიხურება მუქი ნაცრისფერი სახურავით. დასავლეთის ფასადის მხარეს არსებულ ხის კიბეზე დაზიანებული დეტალები აღდგება და შეიღებება. შენობის ყველა ფასადებზე არსებული დაზიანებული ნაღესი მოიხსნება, შეიღესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეიღებება.

სახლი #66

ორ სართულიანი სახლი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, რომელიც აგებულია ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სტილით. შენობას აქვს აივნები და ორი ქვია და ორი ხის კიბეები. პირველი სართული აივნები დეფორმირებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას.

ქვე-პროექტი ითვალისწინებს ქვის კიბის რეაბილიტაციას ბაზალტით, ხის კიბის შეკეთებას, არსებული სახურავისა და ხის კონსტრუქციის, ფანჯრების, კარების აივნის ხის იატაკის დემონტაჟს, კედლების შელესვასა და შეღებვას, აივნის სვეტებისა სახელურების



გამაგრება/რეაბილიტაციას და დეკორატიული ხის ჩუქურთმების რესტავრაციას.

ხის მხატვრულად დამუშავებული დეტალებისა და მორთულობების მაქსიმალურად შენარჩუნების, მიზნით მოხდება არსებული დეტალების რესტავრაცია, ხოლო ნაკლები ნაწილების შეივსება არსებულის ავთენტურად.

სახლი #68

შენობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის არქიტექტურული ნაგებობაა, ერთსართულიანია, წარმოადგენს ქვის არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშს. შენობის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადი ძლიერ დაზიანებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. ჩრდილოეთის ფასადი მხრიდან უნდა ყოფილიყო აივანი, რომელიც მოგვიანებით გადაუკეთებიათ ოთახად, ხოლო დასავლეთის მხრიდან შენობას აქვს ხის აივანი, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია. შენობის უკანა მხარეს მდებარეობს პატარა ფერდი, რომელიც უქმნის საფრთხეს შენობას ქვის ცვენის თვალსაზრისით. ქვე-პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ბეტონის კედლის მშენებლობა საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს არსებული სახურავის დემონტაჟს და მისი გადახურვა ქარხნულად დაფერილი მუქი რუხი თუნუქით, სახურავის შეფიცვრის მთლიანად, ხოლო კონსტრუქციების ნაწილობრივ შეცვლას. აივნის საყრდენი ბოძების, სახელურების და დეკორატიული ხის ორნამენტების რეაბილიტაციას, ახალი კიბის მოწყობას ბაზალტის ქვით, და სახლის მოპირკეთებას ბუნებრივი ქვით. ასევე შეიცვლება ხის კარ-ფანჯარაც.

შენობის ფასადის გასუფთავებას არსებული ნალესობისგან, დაზიანებების რესტავრაციას და შენობისთვის ძველი იერსახის დაბრუნებას.



სახლი #70

შენობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის არქიტექტურული ნაგებობაა, ორსართულიანია, ნაგებია ფლეთილი ქვით. შენობას წინა მხრიდან აქვს შუშაბანდი,



რომელიც მორთულია ხის ორნამენტებით. ამჟამად, სახლი და მისი საძირკველი კარგ მდომარეობაშია და საჭიროებს მხოლოდ რეაბილიტაციას. პროექტი ითვალისწინებს შენობის არსებული თუნუქის სახურავის საფარის და შეფიცვრის, კარ-ფანჯრის, წინა ფასადისა და ხის კიბის ამორტიზირებული სახურავის მოხსნას. ექსტერიერის სამუშაოები მოიცავს: ახალი სახურავის მოწყობას ქარხნულად დაფერილი მუქი, რუხი თუნუქისგან, ცოკოლის მოპირკეთება ბაზალტისგან, ფასადის დეტალების შეღებვა ზეთოვანი საღებავით, ხის კიბის ნაცვლად ბაზალტის კიბის მოწყობას, მეტალის კიბის შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით, დეკორატიული ხის დეტალებისა და სვეტების ჩანაცვლებას.

სახლი #72

ერთსართულიანი ქვის შენობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის, ერთსართულიანი, ქვით ნაშენი არქიტექტურული ნაგებობაა. შენობა გადახურულია აზბესტის შემცველი საფარით. ჩანს, რომ შენობა მრავალჯერ გადაუკეთებიათ.



ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სამუშაოები: აზბესტ შემცველი ნივთიერების სახურავის, ხის ამორტიზირებული ფანჯრებისა და კარის დემონტაჟი, ქვის კედლის შეღესვა, ცოკოლისა და კიბის მოპირკეთება ბაზალტით ფილებით, ხის ახალი ფანჯრებისა და კარების დამონტაჟება, კიბის აღჭურვა რკინის მოაჯირებით და სახურავის გადახურვა მუქი რუხი სახურავით.

სახლი #76

შენობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის არქიტექტურული ნაგებობაა, ორსართულიანია და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

პროექტი ითვალისწინებს თუნუქის სახურავის და მისი შეფიცვრის, კარ-ფანჯრის, აივნის ამორტიზირებული იატაკის დემონტაჟს, სახურავის მოწყობას მუქი რუხი თუნუქით,



ქვის კედლიან ფასადებზე არსებული ნაღესი ჩამოიყრასა და გალესვას ქვიშა-ცემენტის ხსნარით და ბოლოს შეღებვას, ცოკოლის მოპირკეთებას ბაზალტით, აივნის შეღებვას ზეთოვანი საღებავით, ხის დეკორატიული დეტალებისა და სახელურებისა რესტავრაციას და შეღებვას, კიბის მოწყობას ბაზალტით და ახალი კარ-ფანჯრის დამონტაჟებას. აივნების დაძრული დეტალები გასწორდება, დაზიანებული შეიცვლება და მიეცემა პირველყოფილი სახე.

ჩრდილოეთის ფასადის აივნის პირველ სართულზე მოეწყობა მეორე სართულის მსგავსი შუშაბანდი, კიბეს და მეორე სართულის აივნებს გაუკეთდება რესტავრაცია, დაძრული ნაწილები გასწორდება და გამაგრდება.

სახლი #78

შენობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის ერთსართულიანი არქიტექტურული ნაგებობაა, ნაგებია ქვით. წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შუშაბანდის, ხის დეკორატიული ორნამენტების, არსებული კიბის რესტავრაცია, ახალი აივნის მშენებლობა შუშაბანდისთვის, შენობის სახურავის შეფიცვრა და თუნუქის საფარის დემონტაჟი, კედლის შეღესვა ცემენტით და შეღებვა, ცოკოლის მოპირკეთება ბაზალტით, ახალი დეკორატიული



ხის მოაჯირებისა და დეკორატიული დეტალების მოწყობა, და შეღებვა ზეთის საღებავით, კარებსა და ფანჯრებზე არსებული მეტალის გისოსების დემონტაჟი. ქუჩის მხრიდან არსებული აივანი მთლიანად მოეწყობა ხელახლა და დაუბრუნდება პირვანდელი სახე.

სახლი #80

შენობა წარმოადგენს XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის არქიტექტურული ნაგებობაა შენობის მთავარი ნაწილი არის ქვის



ორსართულიანი შენობა ხის აივნით, ერთი მხრიდან შენობას აქვს გვიანდელი მინაშენი, რომელიც დახურულია აზბესტით. ქვე-პროექტი ითვალისწინებს- აზბესტისა და თუნუქის სახურავის, ამორტიზირებული ხის იატაკის, ფანჯრების, კარების და აივნის ჭერის დემონტაჟს, ახალი სახურავის მოწყობა მუქი რუხი თუნუქით, ფასადის შეღესვასა და შეღებვას წყალ

მედეგი საღებავით, რეაბილიტაცია/რესტავრაცია შუშაბანდისა და აივნის, ახალი კა-ფანჯრის დაყენება, ხის დეკორატიული ორნამენტებისა რესტავრაცია და შეღებვა.

შენობა დასავლეთ მხრიდან შეილესება და შეიღებება და ქუჩის მხარეს აივანს ჩაუტარდება რესტავრაცია და განახლდება.

ჩრდილოეთის ფასადის პერიმეტრიდან შეჭრილი ორსართულიანი ხის აივნის მეორე სართულს ასევე გაუკეთდება რესტავრაცია და გამაგრდება ახალი სვეტებით. კონსტრუქციულად გამარდება კიბესთან შესასვლელი სივრცე.

სამხრეთის და დასავლეთის ფასადების ფლეთილი ქვის წყობას გაუკეთდება რესტავრაცია, დასავლეთის ფასადის შეფიცრული ფრონტონი კი შეივსება და შეიღებება.

სახლი #84-86

შენობები XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის არქიტექტურული ნაგებობებია. N 84 სახლი, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, აქვს ორი შესასვლელი და ფრონტონი ხის დეკორატიული ორნამენტებით. ქვე-პროექტი ითვალისწინებს შუშაბანდის რესტავრაციას, ახალი სახურავის მოწყობას მუქი რუხი თუნუქით, კედლების შელესვასა და შეღებვას, დეკორატიული ორნამენტების რესტავრაციას, არსებული კიბის რეაბილიტაციას, ახალი კარ-ფანჯრის დამონტაჟებას.

შენობა # 84 უკავშირდება შენობა # 86 ძველი მიწენებით, რომელსაც წინა მხრიდან აქვს შუშაბანდი. იგეგმება შემდეგი სამუშაოების განხორციელება: ახალი სახურავის მოწყობა მუქი რუხი თუნუქით, ფასადის შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, დეკორატიული ორნამენტების რესტავრაცია, არსებული კიბის რეაბილიტაცია.

86-ე სახლის ქუჩის მხარეს ფასადზე არსებულ შუშაბანდს და შეფიცრული ფრონტონს ასევე გაუკეთდება რესტავრაცია, გადაეწყობა იქვე არსებული ხის კიბე, გასწორდება და გამაგრდება ჩრდილოეთის ფასადის ბოლოში არსებული აივნის დამრული კონსტრუქცია, ხოლო შუშაბანდს გაუკეთდება რესტავრაცია.

ამ ორი სახლის შემაერთებელ ნაწილზე მოხდება ლითონის ვიტრაჟის დემონტაჟი და მოეწყობა 86-ე სახლის მსგავსი შუშაბანდი. ორივე შენობის კედლების დაზიანებული ნაწილები ჩამოიყრება, გაილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეიღებება.



სახლი #94

შენობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი რუსული კლასიკური სტილის, ორსართულიანი, ფლეთილი ქვით ნაგები არქიტექტურული ნაგებობაა და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. შენობას აქვს აივანი და შუშაბანდი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია საჭიროებს გამაგრებას. დასავლეთი ფასადის მხრიდან არის ხის აივანი და მინაშენები.

აღნიშნული სახლის პროექტი ითვალისწინებს არსებული თუნუქის სახურავის, ხის კარ-ფანჯრის დემონტაჟს, ახალი ქარხნულად დაფერილი თუნუქის სახურავის მოწყობას, ახალი კარ-ფანჯრის დაყენებას, ფასადის შელესვას და შეღებვას, სოკოლის მოპირკეთებას ბაზალტით, აივნებისთვის ახალი ხის იატაკისა და ჭერის მოწყობას, მეტალის კიბის რეაბილიტაციას და აღჭურვას სახელურებით, ხის დეტალების რესტავრაციას, კიბის ბაზალტის ფილებით მოპირკეთებას.



ჩრდილოეთ და სამხრეთ ფასადების ქვის წყობის გადაწყობა. ჩრდილოეთის მხრიდან, შიდა ეზოში აივანი მთლიანად მოეწყობა თავიდან, მისი პირვანდელი სახე აღდგება.

სახლი # 96

#96 სახლი წარმოადგენს საოჯახო სასტუმროს ღია ტერასის მქონე კაფით. ქვე-პროექტი ითვალისწინებს ამორტიზირებული ხის ჭიშკრის ა ტერასის გრანიტის იატაკის დემონტაჟს, კედლის შეღებვასა და მოკირწყვლას ბუნებრივი ქვით, ხის დეკორატიული ორნამენტების, სახელურების, ტერასისთვის საჩრდილობელის, ხის ჭიშკრისა და აივნისთვის სახელურების მოწყობას.



სახლი # 98

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება: ამორტიზირებული თუნუქის, ფრონტონისა და კიბის დემონტაჟი, ახალი

ფრონტონისა და სახურავის მოწყობა მუქი რუხი თუნუქით, აივნისთვის ხის სვეტებისა და მოაჯირების მოწყობას, ფასადის შეღებვა-შელესვა, წინა კიბის მოპირკეთება ბაზალტით, ხის ჟალუზებისა და საყვავილეების მოწყობა ფანჯრებზე.



სახლი #100

ეს ერთ სართულიანი სახლი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. წინა ფასადიდან აქვს ხის შუშბანდი, დეკორატიული სვეტებით და ხის ფრონტონით, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას. შენობა გადახურულია აზბესტ შემცველი მასალით.

პროექტი ითვალისწინებს არსებული თუნუქის სახურავის დემონტაჟს და ახალი ქარხნულად დაფერილი თუნუქის სახურავის მოწყობას, სახურავის შეფიცვრა მთლიანად, კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით, ხის ორნამენტების რესტავრაცია, ცოკოლის მოპირკეთება ბაზალტით, ახალი კიბის მოწყობა ბაზალტით და ხის მოაჯირებით, შუშბანდის რეაბილიტაცია, ახალი იატაკის დაგება, ახალი კარ-ფანჯრის დაყენება.

დასავლეთის ფასადზე არსებულს აივანს ჩაუტარდება გასამაგრებელი და სარესტავრაციო სამუშაოები, დაზიანებული დეტალები შეიცვლება და აივანს მიეცემა სავარაუდო პირველყოფილი სახე.



სახლი #102

ორსართულიანი შენობა ნაგებია ბუნებრივი ქვით. წინა ფასადიდან შენობას აქვს აივანი და შუშბანდი. ქვე-პროექტის ფარგლებში იგეგმება- ახალი სახურავის მოწყობა მუქი რუხი თუნუქით, შესასვლელების თავზე გადახურვის მოწყობა, კიბის რეაბილიტაცია ბაზალტით, კედლების შელესვა და შეღებვა, ხის დეკორატიული ელემენტების რესტავრაცია, არსებული ხის კიბის, კარ-ფანჯრის რესტავრაცია.



სახლი #104

ეს ერთ სართულიანი შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალი სახურავის მოწყობა ქარხნულად დამუშავებული რუხი თუნუქით, არსებული სამერცხლორისა და მისი დეკორატიული ელემენტების რესტავრაცია. აივნების რეაბილიტაცია, კედლების შელესვა და შეღებვა, ბაზალტის ფილებით კიბის ხელახლა მოწყობა, ხის დეკორატიული ელემენტების რესტავრაცია, ახალი კარ-ფანჯრის დაყენება.

ყველა ფასადზე არსებული დაზიანებული ნაღესი მოიხსნება, გაილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეიღებება შეიცვლება არსებული ხის კარ-ფანჯარაც.



ჩრდილოეთის ფასადის მხარე განთავისუფლდება ზედმეტი მიწისაგან.

3. გარემოს არსებული მდგომარეობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაბა აბასთუმანში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე ოცხეს ხეობაში ახალციხიდან 28 კილომეტრში, ადიგენიდან დაშორებულია 25 კმ-ით, ზღვის დონიდან 1340მ სიმაღლეზე. მდინარე ოცხე მიედინება საპროექტო ტერიტორიის გასწვრივ, ის არის მდინარე ქვაბლიანის მარცხენა შენაკადი. ხეობის თითქმის ვერტიკალურად აზრდილი ფერდობები დაფარულია წიწვოვანი ტყით, რომელშიც ფიჭვი დომინირებს, რომელიც ყვავილობის დროს უებარი სამკურნალო საშუალებაა ფილტვების დაავადებების მქონე ადამიანისთვის. აბასთუმანში არის ზომიერად მშრალი კლიმატი, სადაც ჰაერის ტენიანობა აღწევს 50% მხოლოდ ზაფხულში. საშუალო წლიური ნალექების რაოდენობა არის 626 მმ. საშუალო წლიური ტემპერატურა იანვარში არის 6.4-6.5 °C და 17.2 °C ივლისში.

აბასთუმანი წარმოადგენს სამთო-კლიმატურ კურორტს, დაარსებული XIX საუკუნის 70-იან წლებში.

XIX საუკუნის 30-იან წლებში აბასთუმნის ტერიტორიაზე ამომავალი თერმული წყლების მეცნიერული კვლევა ჩატარდა რომელმაც აჩვენა რომ აბასთუმნის თერმული წყლები ქლორ-ნატრიუმ-სულფატ-კალციუმიანი ჰიპერთერმულ სამკურნალო წყლებს წარმოადგენს და გამოიყენება – რევმატიული, გინეკოლოგიური, დერმატული, ნერვული დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის მოშლილობისას და ქრონიკული წყლულების სამკურნალოდ.

აბასთუმანში არის ისეთი მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობები როგორებიცაა: აბასთუმნის ასტროფიზიკის ობსერვატორია, XIX საუკუნის აბასთუმნის პარკი, ახალი ზარზმის ეკლესია (1899-1902), თამარ მეფის ციხესიმაგრე (IX-XI სს), მელნისის ციხესიმაგრე (შუა საუკუნეები), თამარის ხიდი მდინარე ოცხეზე (IX-XI სს), მახვილოს ციხესიმაგრე (შუასაუკუნეების ეპოქა).

4. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

4.1 სამშენებლო ფაზა

4.2 სოციალური ზეგავლენა

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** სოციალურ გარემოზე ზეგავლენა ძირითადად დადებითი იქნება, ვინაიდან ქვე-პროექტი ითვალისწინებს დაზიანებული სახლების რეაბილიტაციას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რეგიონში ტურისტული ნაკადების ზრდა კი ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. მოსახლეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მინიმალურია და დაკავშირებულია მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოებთან, ვინაიდან სარეაბილიტაციო სამუშაოები გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის სიმყუდროვის დარღვევას. რიგ შემთხვევაში, პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე,

შესაძლებელია მოსახლეობას დროებით მოუწიოს საცხოვრებელი ადგილების დატოვება.

- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი მუდმივი ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. თუმცა, პროექტი ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია-რესტავრაციას და მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების სამოქმედო პოლიტიკის (OP/BP 4.12) თანახმად საჭიროა დამატებითი კვლევის ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში დროებითი განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება.
- **დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:** ქვეპროექტის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებისას, ასევე რეაბილიტირებული ურბნული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის სამუშაოებისას მოსალოდნელია დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნა, რა მოსახლეობას მსცემს დასაქმების საშუალებას და გააუმჯობესებს მათ ეკონომიკურ პირობებს. აღნიშნული დადებითი ზეგავლენა დროებითი და შეზღუდული იქნება
- **ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:** აღნიშნული ზეგავლენა დაკავშირებულია სარეაბილიტაციო სამუშაოებთან, რომელიც შეზღუდული და დროებითია.
- **სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა:** ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- **უსაფრთხოება და წვდომა:** ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი, თუმცა საფრთხე არ ემუქრება არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეების უსაფრთხოებას.

4.2.1 ფიზიკური ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 17 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია, რომელთაგან 14 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონეა (კულტურული მემკვიდრეობის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #3/47; 22.03.2010) და თავისთავად სარეაბილიტაციო/სარესტავრაციო სამუშაოებისას არსებობს მათი დაზიანების რისკი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნაგებობების ისტორიული ღირებულების დაკარგვა ან დაქვეითება. ამიტომ სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა საპროექტო დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“, რომელიც უზღუდამოსილია გასცეს ძეგლზე სამუშაოების წარმოების ნებართვა.

მართალია, ქვეპროექტი ითვალისწინებს არსებული შენობების რესტავრაციას, დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები გათვალისწინებული არ არის და წინასწარი მონაცემებით საპროექტო მოედანზე და მის მიმდებარედ არქეოლოგიური საიტები არ არის, ქვეპროექტის განხორციელებისას დაბის ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, არსებობს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების რისკი იმ შემთხვევაში თუ პროექტი მოთხოვს მიწის სამუშაოებს. სამუშაოების წარმოებისას საეჭვო არქეოლოგიურ მასალის აღმოჩენის

შემთხვევაში, მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამუშაოების წარმოება და შეატყობინოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აცნობოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მიიღოს ინსტრუქცია შემდგომი ქმედებების შესახებ.

4.2.2 გარემოზე ზეგავლენა

ნიადაგის დაბინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით ნიადაგის დაბინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- დიზელის საწვავი, ზეთები, სამუხრუჭე სითხე, ანტიფრიზი (დაღვრა/გაჟონვა მანქანა/დანადგარებიდან);
- ცემენტი, ბეტონი და სხვა დამაბინძურებლები;
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები)
- სახიფათო (აზბესტშემცველი) ნარჩენები.

წყლის დაბინძურება

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი შლამიანი წყლებით;
- სანიაღვრე წყლებში არსებული შლამით;
- მანქანა-დანადგარების გარეცხვისას;
- დაბინძურებული მიწის ან გრუნტის წყლების ზემოქმედებით.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა სავარაუდოდ მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს მანქანა-დანადგარების მოძრაობამ/მუშაობამ ქვე-პროექტის ტერიტორიაზე და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებისას.

ზემოქმედების წყაროები შეიძლება იყოს:

- მიძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- მტვერი;
- გამონაბოლქვი სატრანსპორტო საშუალებებიდან, როგორც სამუშაოების ასევე მასალების მოწოდების;

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

არსებული შენობების მინაშენების, სახურავების დემონტაჟისას და საძირკვლების გამაგრების სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები, როგორიცაა; დემონტაჟის შედეგად წარმოიქმნება შემდეგი ნარჩენი მასალები:

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული სამშენებლო ნარჩენის წარმოქმნა:

- არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი;
- შესაფუთი მასალები;
- სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ინერტული ნარჩენი (ზედმეტი გრუნტი, ქვები, ბეტონი, აგური, ხე და ლითონი).

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შედეგად, როგორიცაა:

- თხევადი საწვავი;
- ზეთები, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებები, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზეთისა და ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

ქვეპროექტი ითვალისწინებს შიფერის (შეიცავს აზბეტს) სახურავის დემონტაჟს რომლის საეთო ფართობი 550 კვ.მ-ს შეადგენს. შესაბამისად მოსალოდნელია 7 კუბ.მ სახიფათო (აზბესტშემცველი) ნარჩენის წარმოქმნა.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

შესაძლოა ადგილი იქნეს შემდეგი სახის ზეგავლენას:

- ხმაურის და ვიბრაციის გაზრდა;
- სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა,
- ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვით,
- გზების ატალახება,
- ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება.

მცენარეული საფარი და ლანდშაფტი

ქვეპროექტი არ ითვალისწინებს ხეების და ბუჩქების მოჭრას. ან/და ისეთ ქმედებებს, რომელიც საჭიროებს არსებულ ურბანულ ლანდშაფტში ჩარევას და დაღვევას. ქვეპროექტი არ გამოიწვევს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას.

4.3 ექსპლუატაციის ფაზა

დაბა აბასთუმნის ურბანული განახლების პროექტის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი პოტენციური ზეგავლენა შემდეგი იქნება:

- ტურისტების გაზრდილი ნაკადის გამო ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის გაზრდას;
- მომიმატებს სატრანსპორტო მოძრაობა დაბის ცენტრალურ ნაწილში, რის გამოც შესაძლოა გაიზარდოს გამონაბოლქვი და ხმაური, ასევე წარმოიქმნას უსაფრთხოების პრობლემა.

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი ეკონომიკური გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების 1 მუხლის 1.7. პუნქტის შესაბამისად, სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს უძრავი ქონების მესაკუთრეებთან ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულების გაფორმება. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვალდებულია სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის, კერძოდ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 3 ნოემბრის N05/80 ბრძანების (იხ. დანართი) შესაბამისად, შეტყობინების მიღებიდან 1 თვის ვადაში წარმოადგინოს ინფორმაცია ძეგლის არსებული მდგომარეობის შესახებ და გააფორმოს ძეგლის მოვლა-პატრონობის ხელშეკრულება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ძეგლის დაზიანებისა და განადგურებისაგან დაცვა და ძეგლის ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნება. წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფორმას (იხ. დანართი).

გარდა აღნიშნულისა, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე.

5 გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემო, ასევე კულტურულ მემკვიდრეობის წინასწარი კვლევის მაღლების და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე, მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრა სავარაუდო უარყოფითი ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებები და მომზადდა გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა, რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს. გარემოსდაცვითი მიმოხილვის დოკუმენტი და თანდართული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის სამშენებლო კონტრაქტის ნაწილი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება სავალდებულოა მშენებელი კონტრაქტორისათვის.

მათ შორის,მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს სამშენებლო მასალის შეძენა მხოლოდ ლიცენზირებული/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე მომწოდებლისგან.
2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (მასალების სხვა მომწოდებლისგან შესყიდვის ნაცვლად), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს აამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (მასალის სხვა მომწოდებლისგან შესყიდვის ნაცვლად) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.
4. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. უნდა მოხდეს ნარჩენების განთავსების თაობაზე ჩანაწერების წარმოება, როგორც სათანადო მართვის დამამტკიცებელი საბუთი.
5. სახიფათო (აზბესტშემცველი) ნარჩენები უნდა მოიხსნას, შეიფუტოს, დასაწყობდეს და საბოლოო განთავსების მიზნით გატანილ იქნას უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე, შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად (დადგენილება №145; 29.03.2016)
6. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად, თუ სამშენებლო სამუშაოების შედეგად წარმოექმნება 200 ტონაზე მეტიარ ასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი ოდენობით სახიფათო ნარჩენი წლის განმავლობაში მშენებელ კონტრაქტორი ვალდებულია
 - მოამზადოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს დასამტკიცებლად კომპანიის ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში და ნარჩენების მართვის გეგმა;
 - უნდა დაინიშნოს გარემოსდაცვითი მმართველი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს ინფორმაცია მის შესახებ.

